ოზურგეთი

ინვესტიციების განხორციელების გონივრული ადგილი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

საინვესტიციო პროფილი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა
და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

With funding from
Austrian Development Cooperation

UNDP

საინვესტიციო პროფილი მომზადებულია პროექტის „მონაწილეობითი ადგილობრივი განვითარება“ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში ფაზა 2 (FRLD 2)” ფარგლებში, კონტრაქტორი ორგანიზაციის საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის (AYEG) და ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს (LDA Georgia) მონაწილეობით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ხელშეწყობით.

წინამდებარე გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელია მონიციპალიტეტი.

LDA GEORGIA

AYEG
საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიმართვა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო შესაძლებლობების ზრდა "ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის" და "საშუალო ვადიანი განვითარების დოკუმენტის" მნიშვნელოვანი ნაწილია. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო მიმზიდველობის ძლიერ მხარეს მისი სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა წარმოადგენს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიული სიახლოვე ბიზნესისათვის მნიშვნელოვან ობიექტებთან: ბათუმის და ქუთაისის აეროპორტი, რკინიგზა, ცენტრალური საგზაო მაგისტრალი, ფოთის და ბათუმის პორტი, ფოთის თავისუფალი ეკონომიკური ზონა კერძო სექტორის დაინტერესებას იწვევს. მუნიციპალიტეტი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. ეკონომიკური განვითარების პროცესში მუნიციპალიტეტის ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონება, რომელთა გამოყენებით შესაძლებელია მუნიციპალიტეტში ინვესტიციის განხორციელება.

მუნიციპალიტეტის საინვესტიციო მიმზიდველობას დასასვენებელი და სამკურნალო ზღვის და მთის კურორტები წარმოადგენს. მათი ტერიტორიული სიახლოვე ვიზიტორების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. შრომითი ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კადრების მომზადება/გადამზადებას მუნიციპალიტეტში მოქმედი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი პროფესიული კოლეჯი, "ჰორიზონტი", უზრუნველყოფს. როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან კერძო სექტორის წახალისების მიზნით მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება: ყოველწლიურად მიმდინარეობს საგზაო და წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის მოწყობა, ეწყობა სასოფლო-სამეურნეო სადემონსტრაციო ნაკვეთები, აგრო და ტურისტული ფესტივალები, საინვესტიციო ფორუმი, მოქმედებს კერძო სექტორის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამები.მზად ვარ, მხარი დავუჭირო ყველა სასარგებლო ინიციატივას, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების ზრდას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას.

კონსტანტინე შარაშენიძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

ინვესტიციების განხორციელების 10 ძირითადი გარემოება

რატომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

1 ოზურგეთში ინვესტიციების განხორციელების გაზრდილი ინტერესი;

2 საინვესტიციოდ მიმზიდველი მდიდარი ბუნებრივი რესურსი და აქტივები;

3 სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა ბიზნესისთვის - მაღალი წვდომა შიდა და გარე ბაზრებზე და სატრანზიტო კვანძებთან სიახლოვე;

4 ბიზნესისთვის საჭირო კვალიფიკაციის კადრებზე წვდომა და ადგილზე შესაბამისი გადამზადების შესაძლებლობა;

5 ბიზნესის კეთების სიმარტივე და ადგილზე ბიზნეს-სერვისებზე მაღალი ხელმისაწვდომობა;

6 ზღვისა და მაღალი მთის უნიკალური სინთეზი;

7 სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის ხელსაყრელი სუბტროპიკული ზონა / კლიმატი;

8 კერძო სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული ადგილობრივი ხელისუფლება;

9 წვდომა 2,3 მილიარდიან ევროკავშირის ბაზარზე საბაჟო გადასახადების გარეშე;

10 ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება და DCFTA.

ისტორია და მდიდარი ტრადიციები

- 1578 - პირველად ნახსენებია ახალი ქართლის ცხოვრებაში;
- 1831 - ოზურგეთში გაიხსნა საბაჟო;
- 1846 წელი - ოზურგეთს მიენიჭა ქალაქის სტატუსი;
- 1847 წელი - პირველი ჩაის ბუჩქი საქართველოში;
- 1883 წელი - აღრიცხული იყო 151 სავაჭრო ობიექტი
- 1923 წელი - ქალაქში შევიდა რკინიგზის მაგისტრალი;
- 1953 წელი - აღმოაჩინეს XVI-XVII საუკუნის ევროპული ვერცხლის სავაჭრო მონეტები;
- 1959 - 1971 წლები - ამუშავდა რამდენიმე მსხვილი საწარმო: ასკანგელის გადამამუშავებელი ქარხანა, ჩაის N2 ფაბრიკა და სხვა;
- 1998 წელი - ფქვილის მწარმოებელი საწარმო „გულისტანი“;
- 2012 წელი - სამეწარმეო რეესტრის წარმოების შესაძლებლობა;

2016 - დიდი საკონცერტო დარბაზი „BLACK SEA ARENA“;

2018 წელი - საუკეთესო „ფრენჩაიზის“ სასტუმროების ნომინაცია - შეკვეთილში მდებარე სასტუმრო „პარაგრაფი“ პირველ ადგილზე დასახელდა;

2020 წელი - დენდროლოგიური პარკი შეკვეთილში.

მუნიციპალიტეტის ზოგადი მახასიათებლები

მოსახლეობის რაოდენობა **60,300** კაცი

შინამეურნეობა **26 000**

სამუშაო ძალა (15-დან 65 წლამდე) **65%**

ქალი - **54%**
კაცი - **46%**
ახალგაზრდები - **18%**

მუნიციპალიტეტის რუკა

ფართობი - **643,07** კვ.მ

გეოგრაფია და კლიმატი

- ზღვისა და მაღალი მთის უპრეცენდენტო სინთეზი - ზღვიდან 2100 მეტრი სიმაღლის კურორტამდე მხოლოდ 64 კილომეტრი გაშორებთ
- საზღვაო კურორტების და სამთო კურორტების განვითარების შესაძლებლობა;
- ჰავა ხასიათდება სუბტროპიკული ნოტიო კლიმატით;
- ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა +14 5°C-დან -4°C-მდე

ადგილმდებარეობა და ბაზარზე წვდომა

ტერიტორიაზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის E-70 და E-692 მაგისტრალები;

ოზურგეთის რკინიგზის სადგური ქალაქის ცენტრში
- ახორციელებს როგორც მგზავრთა, ასევე სატვირთო გადაზიდვებს;

ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი - 70 კმ;
ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი - 68 კმ;

ფოთის პორტი - 50კმ.;
ბათუმის პორტი - 55კმ.;

მანძილი უახლოეს სარკინიგზო სადგურებამდე:

ქ. თბილისი - 320 კმ;
აჭარის რეგიონი, ბათუმი - 55 კმ;
იმერეთის რეგიონი, ქუთაისი - 95 კმ;
სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი, ზუგდიდი - 115 კმ;

ადგილმდებარეობის უპირატესობები

წარმოადგენს რეგიონის ცენტრს;

საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალებთან და სატრანსპორტო კვანძებთან სიახლოვე;

საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე მზარდ - ბათუმის ბაზართან სიახლოვე;

ქ. ფოთის თავისუფალ სავაჭრო ზონასთან სიახლოვე.

ფსხუ
აფხაზეთი
გაგრა
ბიჭვინთა
გუდაუთა
ახალი ათონი
სოხუმი
გულრიფში
ოჩამჩირე
ლათა
ოთაფი
ტყვარჩელი
ოქტომბერი
ოქემარიშარა
მესტია
ხაიში
ლენტეხი
გალი
წალენჯიხა
ფიჩორი
ზუგდიდი
ანაკლია
ხობი
სენაკი
ფოთი
ზუგდიდი
ზესტაფონი
ბაღდათი
ჩოხატაური
ოზურგეთი
ქობულეთი
ბათუმი
ჭარა
ხულო
ქედა
ზორჯომი
ბაკურიანი
ახალციხე
ვალე
ახალქალაქი
ნინოწმინდა
ბოლნისი
კაზრეთი
ხვანჭკარა
ამბროლაური
ტყიბული
ჭიათურა
ქუთაისი
ცხინვალის
რეგიონი
ცხინვალი
ქურთა
ალმეტა
ფასანაური
ახალგორი
ბორჯომი
ხაშური
გორი
დუშეთი
მცხეთა
საქართველო
თბილისი
ბაკურიანი
ბაკურიანი
ბაკურიან

განათლება

ხელმისაწვდომი პროფესიული და საქირო განათლება

- მოქმედი პროფესიული კოლეჯი "ჰორიზონტი"
- წლის განმავლობაში 500-მდე სტუდენტი გადის სასწავლო პროგრამას
- 15 სპეციალობა სხვადასხვა მიმართულებით: მკერავი, კულინარი, ჩაის ტექნოლოგი და სხვა.
- საერთაშორისო დონის ანასეულის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი.

ჯანდაცვა

სათანადო ხარისხის და დროული სამედიცინო მომსახურება

- მრავალპროფილური საავადმყოფო და 23 სასოფლო ამბულატორია.

ინფრასტრუქტურა

ბიზნესის განვითარებისთვის ხელსაყრელი ინფრასტრუქტურა

- გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა;
- სრულად გაზიფიცირებული ქალაქი და ტერიტორიული ერთეულების ძირითადი ნაწილი;
- გამართული წყლის სისტემა ქალაქის ძირითად ნაწილში;
- ელექტროენერგიით სრულად უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტი;
- მოქმედებს ორი ჰიდროელექტროსადგური.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორია დაფარულია მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით;

გარემოს დაცვა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 24% ტყეს უკავია;

- ტყეში არამერქნული პროდუქტების სიუხვე (სამკურნალო მცენარეები, ხილკენკროვანები, სოკო და სხვა);
- ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის წახალისება;
- პრიორიტეტული ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება.

მიწის აქტივი და გამოყენების პოტენციალი

არასასოფლო სამეურნეო მიწის 70% ჯერ კიდევ საჯარო საკუთრებაშია;

მრავალწლიანი ნარგავებიდან გვხვდება ციტრუსი, ჩაი, კენკრა და თხილი.
სათიბ-საძოვრების სიუხვე ზღვისპირეთსა და მთის ზონაში.

რეალიზაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა თხილი, ციტრუსი, ჩაი და მოცვი;

მაღალი პოტენციალი აქვს ლურჯი მოცვის წარმოებას.

მიწის განაწილება ოზურგეთში კატეგორიის და საკუთრების ფორმის მიხედვით



არსებული წიაღისეული და ბუნებრივი რესურსები

მაგნიტური ქვიშები / მაგნეტიტი

12 კმ. სანაპირო ზოლი
ქვიშა გამოირჩევა უნიკალური გამაჯანსაღებელი
და გულსისხლძარღვთა, საყრდენ-მამოძრავებელი და სასუნთქი
ორგანოების სამკურნალო თვისებებით;

ბენტონიტური თიხა „ასკანგელი“ - 10 მლნ.ტ.

მზადდება საღებავი ნივთიერება „ტალასკანი“; გამოიყენება
კერამიკულ წარმოებაში, საპნისა და საფეიქრო მრეწველობაში.

მინერალური წყლები

სამკურნალო დანიშნულება - გულსისხლძარღვთა,
საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის, პერიფერიული ნერვების,
გინეკოლოგიური პროფილისა და კუჭის ქრონიკულ დაავადებათა
სამკურნალოდ; "ნასაკირალი"-ში საბჭოთა პერიოდში
მოქმედებდა კურორტი;

აპატიტი

ქანი შეიცავს 7-10 % აპატიტს; 41-53 % ფოსფორს ან ჰიდრატს;
გამოიყენება სასუქად; აქვე აღმოჩენილი სპილენძის ბუდობები;
მცირე ოდენობით ტყვია; ვერცხლი და თუთია.

კაოლინი

სოფელ მაკვანეთში, სადაც კაოლინის ფენის სიმძლავრე
0,4-დან 11 მეტრამდე

ტყის მასივები 17,370 ჰა

1000-ზე მეტი სახეობის მცენარე;
წიფლნარი; ფოთლოვანი; წიფლნარ-მუქწიწვიანები ტყე
სუბალპური ტყეების ვიწრო ზოლი; სუბალპური და ალპური მდელოები.

მდინარეები

უხვი წყლის რესურსი;
2 ჰიდროელექტრო სადგური: „ბუუჰესი“ და „ბახვიჰესი;
დაგეგმილია კასკადური ჰესების მშენებლობა.

ოზურგეთში არსებული ბიზნეს სუბიექტები

საწარმოთა მზარდი რაოდენობა და გაზრდილი ინვესტიციები

რეგისტრირებულია 2 900 ბიზნეს სუბიექტი

საშუალო და მსხვილი საწარმოები: სამკერვალო, კენკროვანი კულტურების მოყვანა, ფქვილის მწარმოებელი, პურ-პროდუქტების მწარმოებელი, თხილის ექსპორტიორი, და სხვა.

101 მოქმედი საწარმო - მშენებლობა და მოპოვებითი მრეწველობა;

ბენტონიტური თიხის მომპოვებელი და გადამამუშავებელი, გამანაწილებელი საინჟინრო ობიექტების მშენებლობა;

400 -მდე - სარესტორნო, სასტუმრო, გასართობი ცენტრების, სატრანსპორტო ბიზნეს ობიექტი. შავი ზღვისპირეთის გასართობი ცენტრები, მსხვილი სასტუმრო კომპლექსები, ტაქსით მომსახურება და სხვა.

მოქმედებს 20-მდე მცირე და საშუალო ჩაის გადამამუშავებელი საწარმო;

90-მდე საწარმო - IT სერვისი, საბუღალტრო-საკონსულტაციო მომსახურება, ბეჭდვით და მედია სერვისები და სხვა.

30-მდე - კერძო მეწარმისგან სამედიცინო მომსახურება.

მიმდინარე და დაგეგმილი მსხვილი პროექტები

კიდევ მეტად უმჯობესდება ხელმისაწვდომობა სარეალიზაციო ბაზრებზე;

ზღვისა და მთის კურორტების ინფრასტრუქტურული მოწესრიგების მაღალი პრიორიტეტი:

- ცენტრალურის საგზაო მაგისტრალის რეაბილიტაცია;
- ზღვისპირა კურორტების წყლის სისტემის მოწყობა (72 მლნ. ლარი)
- გომის მთის რეაბილიტაციის პროგრამა;
- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ცენტრალური წყლის სისტემის გაუმჯობესება;
- კურორტი ურეკის ტერიტორიაზე ბულვარის მშენებლობა.

ბიზნესის ხელშემწყობი გარემო

- საინვესტიციო საქმიანობის ხელშემწყობი საკანონმდებლო ჩარჩო;
- ლიცენზიებისა და ნებართვების მიღების მარტივი პროცედურები;
- ქონების რეგისტრაციისა და განკარგვის მოხერხებული პირობები;
- სამეწარმეო საქმიანობის წამოწყებასთან დაკავშირებული სერვისების ერთი ფანჯრის პრინციპით მიღების შესაძლებლობა;
- თანამშრომლების დასაქმების მოქნილი პირობები;
- მომზადებულია მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა;

დაბალი დანახარჯები ბიზნესისთვის

- ადვილად ადმინისტრირებადი საგადასახადო სისტემა და დავების მოგვარების მოქნილი სტრუქტურა;
- ბიზნესის დაწყების სიმარტივე;
- თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებთან სიახლოვე და ლოჯისტიკის დაბალი დანახარჯები

დაბალი და სამართლიანი გადასახადები

- რეინვესტირებაზე ორიენტირებული მოგების გადასახადი - 0% ან 15%;
- საშემოსავლო გადასახადი - 20%;
- დამატებული ღირებულების გადასახადი -18%;
- ქონების გადასახადი - 1%;
- იმპორტის გადასახადი - 0%, 5% ან 12% ;
- დივიდენდი – 5%.
- საპენსიო შენატანი - 6% (2% დამსაქმებელი, 2% დასაქმებული, 2% სახელმწიფო)
- ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულებები 55 ქვეყანასთან.

მოსაკრებელი/გადასახადი	ოდენობა
ელექტროენერგია	0,14 - 0,23 ლ. კვტ/სთ
წყალმომარაგება	4,5 ლ/ტ.
ნარჩენების მართვის მოსაკრებელი	0,4 ლარი / 1 კვ.მ
მშენებლობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებული მოსაკრებელი	საკურორტო ზონა 2,50 - 5 ლარი/კვ.მ ქ. ოზურგეთი - 4,0 ლარი/კვ.მ ოზურგეთის სხვა ტერ. - 2,50 ლარი/კვ.მ
ბუნებრივი აირი	1 05 ლარი /კბ.მ
მიწაზე ქონების გადასახადი	სასოფლო-სამეურნეო - 0,7 ლარი/კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო - 0,24 ლარი/კვ.მ

ოზურგეთის ტურისტული ობიექტები დაპოტენციალი

სამთო ტურიზმი

გომისმთის კურორტი მდებარეობს გურია-აჭარის ქედზე და მისი მწვერვალის სიმაღლე 2 100 მეტრიდან 2 755 მეტრამდეა.

განუმეორებელი ბუნება და 2 500 მეტრ სიმაღლეზე არსებული ჭინჭაოს ტბა; კურორტის უნიკალური აუთვისებელი პირობები.

გასართობი ტურიზმი

შეკვეთილის დენდროლოგიური პარკი;
ატრაქციონების პარკი „ციცინათელა“;
პარკში გაშენებულია „საქართველო მინიატურებში“;
7 523 მაყურებელზე გათვლილი საკონცერტო დარბაზი (BLACK SEA ARENA) და „მუსიკოსების პარკი“.

აგროტურიზმი

2019 წელს გახსნილი „ჩაის გზა“ ჩხავერის ჯიშის ყურძენი და ღვინო;
2019 წელი - ახალი ტურისტული პროექტი „ჩხავერის ისტორია“.

საზღვაო ტურიზმი

ურეკი - შეკვეთილი - 12 კმ-იანი სანაპირო ზოლის მაგნიტური ქვიშა და უნიკალური სამკურნალო თვისებები.

ბალნეოლოგიური ტურიზმი

კურორტი "ნასაკირალის" რეაბილიტაცია

ეთნოგრაფიული ტურიზმი

ოზურგეთი - ფოლკლორის ქალაქი;
ოზურგეთი მასპინძლობს საერთაშორისო ფოლკლორულ ღონისძიებებს;
ტურისტული პროექტი “ფოლკლორის ტური“.



განხორციელებული ინვესტიციები და სახელმწიფო მხარდაჭერა

იზრდება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება
იზრდება სარეალიზაციო ბაზრის არეალი
(ევროპა, ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა.)

ლურჯი მოცვი

- გაშენებული ფართობი 240 ჰა;
- მიმდინარე წლის საშუალო მოსავალი 200 ტონა;
- მოქმედებს 10-მდე მსხვილი მოცვის მეურნეობა;
- მეურნეობები ფლობს სერტიფიკატებს: ISO 9001, ISO 22000, GLOBAL G.A.P.
- მეურნეობები სარგებლობს სახელმწიფო პროგრამებით, მიღებული თანადაფინანსება 1,5 მილ. ლარი;

სასტუმრო "პარაგრაფი"

- პირველი ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო, რომელმაც გურიის რეგიონს მეტი ცნობადობა მოუტანა;
- სასტუმროში დასაქმებული ადგილობრივი კადრები, რომელთა გადამზადება მოხდა პროფესიულ სასწავლებელში;

სამკერვალო ფაბრიკა "ოზურგეთი დენიმ"

- იკერება ZARA-ს, MANGO-სა და Bershka-ს პროდუქცია
- დასაქმებულია 150 ადამიანი;
- აქტიურად თანამშრომლობს პროფესიულ სასწავლებელთან;
- პროდუქციის ექსპორტი ხორციელდება უცხოურ ბაზარზე.

აწარმოე საქართველოში

ინდუსტრიული მიმართულება;
სასტუმრო ინდუსტრია;
მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა;
გადაიღე საქართველოში;
საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი;
ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრია;
ტურისტული სერვისების ინდუსტრია;

საპარტნიორო ფონდი

მიმართულია კერძო ინვესტორების მოზიდვასა და ხელშეწყობაზე;
კომერციულად მომგებიანი პროექტების მხარდაჭერა ეკონომიკის
პრიორიტეტულ სექტორებში: ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, წარმოება და ტურიზმი

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო

შეღავათიანი აგრო კრედიტი და აგრო დაზღვევა; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსება;
გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების ხელშეწყობა;
ბაღებისა და სანერგე მეურნეობების მოწყობის მხარდაჭერა და სხვა სასოფლო სამეურნეო
საქმიანობის გააქტიურების სტიმულები.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

ინოვაციების შექმნის მხარდაჭერა ქვეყნის სწრაფი განვითარებისათვის;
ტექნოპარკები და ინოვაციური ცენტრები;
ფაბლაბები - მაღალტექნოლოგიურიდანადგარებით აღჭურვილი სახელოსნო,
რომელიც გთავაზობთ ციფრულფაბრიკაციას.
ბიზნეს ინკუბატორი, IT ტრენინგები, ინოვაციური ბანაკი, სტარტაპ საქართველო
და სხვა წარმატებული პროექტები.



სახელმწიფო სერვისები ბიზნესისთვის

ბიზნეს საქმიანობის წამოწყებასთან, ნებართვებთან, საპრივატიზაციო პროცედურებთან და სხვა საჭირო ინფორმაციასთან დაკავშირებით ადგილზე მომართვის შესაძლებლობა

ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახურები

- სამშენებლო ნებართვის მიღება;
- აგრონომიული კონსულტაციების მიღება;
- მუნიციპალური ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით ღონისძიებების გატარება;
- სადემონსტრაციო ნაკვეთებზე მიღებული შედეგების გაცნობა;

იუსტიციის სახლი

- ერთი ფანჯრის პრინციპი;
- ბიზნესის რეგისტრაცია, უძრავი ქონების რეგისტრაცია, საპრივატიზაციო პროცედურები და სხვა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური

სახელმწიფო ხელშემწყობი პროგრამების შესახებ ინფორმაცია;

სასოფლო-სამეურნეო კონსულტაცია.

თანამშრომლობა ბიზნესთან

- ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა
- საინვესტიციო ფორუმი
- ქალ მეწარმეთა შესაძლებლობების ზრდა - „ქალ მეწარმეთა ეკონომიკური ფორუმი“
- ·სასწავლო პროგრამები ტურისტულ და აგრარულ სექტორში დასაქმებული პირებისათვის.

1. ყოფილი აეროპორტის ტერიტორია

მდებარეობა

ოზურგეთი, სოფელი მერია / თბილისი-ბათუმის ცენტრალური მაგისტრალიდან 10 კმ-ის დაშორებით; დასახლებული პუნქტისა და რკინიგზის სადგურის მიმდებარედ;

ფართობი 190 ჰა

მესაკუთრე

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი 26.05.20.111

ფუნქციონირებდა აეროპორტი სამხედრო დანიშნულებით.

2. საკურორტო ზონაში მიწის ფართი

მდებარეობა

ოზურგეთი, შეკვეთილი
ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ;
ცენტრალური მაგისტრაილს გასწვრივ;

ფართობი 8,2338 ჰა

საკადასტრო კოდი 26.01.48.289

მესაკუთრე

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

განვითარების პოტენციური მიმართულება

სასტუმრო, სპორტული და დასასვენებელი
კომპლექსის მოწყობა;

4. სოფელი ნატანები



მდებარეობა

დაშორებულია ცენტრალური ავტომაგისტრალიდან 2 კმ-ით;

ფართობი 9 086 კვ.მ

მესაკუთრე

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

დანიშნულება

სამრეწველო / სასაწყობე ობიექტი /

საკადასტრო კოდი 26.01.69.180

აუქციონის სავარაუდო საწყისი ფასი / 146 816 ლარი

3.საწარმოო ტერიტორია

მდებარეობა

ოზურგეთი, სოფელი მერია
ოზურგეთი-ურეკის მაგისტრალის გასწვრივ.
ოზურგეთი-ურეკის მაგისტრალის გასწვრივ,
დასახლებული პუნქტისა და სარკინიგზო
სადგურის მიმდებარედ;

ფართობი 9,386 კვ.მ

3 სართულიანი შენობა-ნაგებობა 1,272 კვ.მ.

საკადასტრო კოდი 26.05.24.015

მესაკუთრე

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

განვითარების პოტენციური მიმართულება

საწარმოო ტერიტორია, მ.შ. სამკერვალო საწარმო ან სხვა მსუბუქი მრეწვრლობა;

5. ჯორჯიაშვილის ქუჩა

მდებარეობა
ქალაქ ოზურგეთის ტერიტორია,
დასახლებული პუნქტის მიმდებარედ;

ფართობი - 20 923 კვ.მ

მესაკუთრე
სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

დანიშნულება
სამრეწველო / სასაწყობე ობიექტი /

საკადასტრო კოდი 26.26.34.028

აუქციონის სავარაუდო საწყისი ფასი / 146 968 ლარი

საქართველოში ინვესტირების უპირატესობა

ქვეყანა, სადაც ევროპა ხვდება აზიას;

წვდომა 2,3 მილიარდიან ბაზარზე საბაჟო გადასახადების გარეშე;

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება და DCFTA;

მე-7 ადგილი ბიზნესის კეთების რეიტინგში - პირველი ევროპის ქვეყნებიდან;

მე-6 ადგილი უსაფრთხო ქვეყნების სიაში;

- სამუშაო ძალისა და კომუნიკაციების დაბალი დანახარჯები;
- მარტივი და დაბალი საგადასახადო ტვირთი სახელმწიფო შეღავათებითა და ბიზნესის წახალისების ინსტრუმენტებით;
- ქონების გადასახადი - არ აღემატება 1%-ს;
- ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები ხელმოწერილია 33 ქვეყანასთან, ქვეყანა 1992 წლიდან წევრია ICSID შეთანხმების;
- წვდომა 2,3 მილიარდიან ევროკავშირის ბაზარზე საბაჟო გადასახადების გარეშე;
- ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება და DCFTA.

დამატებითი ინფორმაცია:

საინვესტიციო გარემო და შესაძლებლობები საქართველოში (2019):
http://ww .enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publicacationsadb10264501-1-PRIN -Master-2019-small.pdf

სასარგებლო ბმულები

InvestIn Georgia	investin eorgia.org
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	www.economy.ge
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	www.mof.ge
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	www.mepa.gov.ge
საქართველოს რეგიონგნული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრი	www.mrdi.gov.ge
საპარტნიორო ფონდი	www.fund.ge

საინფორმაციო წყაროები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კონტაქტი:
www.oz.gov.ge
მის: კოსტავას ქუჩა N1
599 06 82 00
info.oz@gov.ge